საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: გ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 05.11.2020

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 096/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 წლის 5 ნოემბერს „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გ. მ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის მიხედვით, 2017 წლის 2 თებერვალს მან იურიდიული მომსახურების მიღების მიზნით მიმართა თ. ხ.-ს. კერძოდ, გ. მ.-ს ჰქონდა სამკვიდრო ქონებაზე დავა

სასამართლოში და ის წარმოადგენდა მოპასუხე მხარეს. გ. მ.-მ თ. ხ.-ს გადასცა საქმის მასალები, რომელმაც განუმარტა, რომ როგორც მოპასუხეთა, ასევე პირველი რიგის მემკვიდრეების ინტერესებს დაიცავდა ადვოკატ ნ. კ.-სთან ერთად.

1.2 2017 წლის 7 თებერვალს სასამართლოს სხდომაზე, თ. ხ.-ის ნაცვლად, გამოცხადდა ადვოკატი ნ. კ., რომელმაც იშუამდგომლა სხდომის გადადების თაობაზე საქმის მასალების გაცნობის მიზნით, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა. საჩივრის ავტორის განმარტებით, ის არ იცნობდა ადვოკატ, ნ. კ.-ს , თუმცა თ. ხ.-სთან წინასწარ იყო შეთანხმებული, რომ მის ინტერესებს მეორე ადვოკატთან ერთად დაიცავდა.

1.3 გ. მ.-ის განცხადებით, მან საქმის უკეთ გაცნობის მიზნით თ. ხ.-ს გადასცა დამატებითი მტკიცებულებები 120 გვერდი, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი იქნებოდა მისი ინტერესების დაცვა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, თ. ხ.-ს სასამართლოში უნდა ეშუამდგომლა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, რადგანაც სარჩელი იყო ხანდაზმული. აგრეთვე, შუამდგომლობა უნდა წარდგენილიყო ო. ჩ.-ის სამკვიდრო მოწმობის გაუქმების თაობაზე. საჩივრის ავტორის განცხადებით, თ. ხ.-ს უნდა „ემხილა“ სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით მითვისების ფაქტის ჩამდენი თ. ჩ.-ჯ. და „ეთხოვა“ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. მომჩივანის განცხადებით, თ. ხ.-ს უნდა გამოეთხოვა კომპანია „ე.-პ. ჯ.-დან“ წეროვნის საკრებულოს გამრიცხველიანების თარიღის შესახებ ინფორმაცია, აბონენტად დარეგისტრირებისთვის საჭირო საბუთების ნუსხა და ინფორმაცია, თუ ვისზე იყო დარეგისტრირებული ბინის მრიცხველი 2015 წლის მაისის თვეში და შემდგომ პერიოდში. თ. ხ.-ს უნდა გაემახვილებინა ყურადღება იმ ფაქტზე, თუ როგორ დარეგისტრირდა 2005 წელს გარდაცვლილი ო. გ. 2008 წელს სადავო ბინის აბონენტად. მომჩივანის განცხადებით, სასამართლოში მისი ინტერესების დაცვის მიზნით არაფერი გაკეთებულა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ ნ. კ.-ის წარმომადგენლებმა, თ. მ.-მა და ი. ე.-მ 2022 წლის 14 დეკემბერს განხილვის კოლეგიის სხდომაზე დისტანციურ რეჟიმში წარმოადგინეს ზეპირი ახსნა-განმარტება. მოპასუხე ადვოკატის წარმომადგენელთა განმარტებით, ნ. კ. მისი კოლეგის, თ. ხ.-ის თხოვნით ჩაერთო გ. მ.-ის საქმეში. ადვოკატის მიერ სასამართლოში სხდომის გადადების თაობაზე შუამდგომლობის დაყენების მიზნით, ადვოკატ ნ. კ.-ის სახელზე გ. მ.-მ გააფორმა მინდობილობა. ადვოკატის განმარტებით, მან სასამართლო სხდომაზე იშუამდგომლა სხდომის გადადების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ მას როგორც საქმეში ჩართულ ახალ ადვოკატს მისცემოდა შესაძლებლობა გაცნობოდა საქმის მასალებს, თუმცა რეალურად ის არ აპირებდა მასალების გაცნობას და სამომავლოდ, ამ საქმეში წარმომადგენლად მონაწილეობას. ადვოკატის ინფორმაციით, აღნიშნულ პერიოდში გ. მ.-ს და თ. ხ.-ს საქმესთან დაკავშირებით დოკუმენტების გამოთხოვისთვისაც სჭირდებოდათ ეს დრო და მისი მოქმედება იყო საქმის წარმართვის შემუშავებული და მისი მხრიდან კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგია.

2.2 ადვოკატის განმარტებით, უშუალო კომუნიკაცია გ. მ.-სთან არასდროს ჰქონია და ის მხოლოდ სასამართლო სხდომაზე ნახა, მათ შორის არ ჰქონია წვდომა საქმის მასალებთან და შესაბამისად, გ. მ. არ ყოფილა მისი კლიენტი, მათ შორის არ გაფორმებულა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. მისი საქმეში ჩართვა „მეგობრულად“ მოხდა, გ. მ.-ის და თ. ხ.-ის თხოვნით, მათთვის დახმარების გაწევის მიზნით. ადვოკატის განმარტებით, გარდა ერთ სხდომაზე პროცესის გადადების თაობაზე შუამდგომლობის წარდგენისა, ის დაესწრო სასამართლოს ბოლო სხდომას, რადგან დავის შინაარსი სამართლებრივად საინტერესო იყო.

2.3 ადვოკატის წარმომადგენელთა განმარტებით, საჩივრიდან ირკვევა, რომ მომჩივანს პრეტენზია აქვს უშუალოდ თ. ხ.-ის მიმართ, რომელიც არ არის ადვოკატი და არა ნ. კ.-სთან, შესაბამისად, საჩივარი არ უნდა დარეგისტრირებულიყო.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2022 წლის 03 ივნისის გადაწყვეტილებით ეთიკის კომიისიის პირველმა საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. აღნიშნულ გადაწყვეტილებას თან ერთვის საქმის განმხილველი დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარის, ადვოკატ კონსტანტინე გელაშვილის, განსხვავებული აზრი.

3.2 საპროცესო კოლეგიამ ხმათა უმრავლესობით მიიჩნია, რომ ადვოკატი ნ. კ. ფორმალურად ჩაერთო საადვოკატო საქმიანობის განხორციელებაში, საადვოკატო მომსახურების დაწყების ეტაპზე არ გაეცნო საქმის მასალებს, რითაც მან დაარღვია კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის ეთიკური ვალდებულებები, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი და მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი.

3.3 საქმის განმხილველი დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარის, ადვოკატ კონსტანტინე გელაშვილის, განსხვავებული აზრით, ნ. კ.-ის ქმედებაში არ იკვეთება პროფესიული რეგულაციების დარღვევის ფაქტი, რადგან მისი ქმედება არ წარმოადგენს ეთიკურ გადაცდომას.

II სამოტივაციო ნაწილი

4 საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 2017 წლის 03 თებერვალს გ. მ. სა და ნ. კ.-ს შორის გაფორმდა მინდობილობა № ---.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

საჩივრის დანართი, მინდობილობა № ---.

4.2 2017 წლის 7 თებერვალის, მცხეთის რაიონული სასამართლოს ს. საქმეთა კოლეგიის სასამართლოს სხდომაზე (სამოქალაქო საქმე №---), ნ. კ.-მა, საქმის მასალების გაცნობის მიზნით, იშუამდგომლა სხდომის გადადების თაობაზე, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა წერილობითი პოზიციები;

განხილვის კოლეგიის 2022 წლის 14 დეკემბრის სხდომის ოქმი.

4.3 ნ. კ.-ს 2017 წლის 7 თებერვლის სასამართლო სხდომის გარდა, აღნიშნული საქმის სხვა სხდომებში, წარმომადგენლის სტატუსით, მონაწილეობა არ მიუღია.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა წერილობითი პოზიციები;

განხილვის კოლეგიის 2022 წლის 14 დეკემბრის სხდომის ოქმი.

5 შემაჯამებელი დასკვნა:

5.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარის ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. კ.-ის მიერ არ არის ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა.

6 სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. კ.-ის მიერ დარღვეული არ არის შემდეგი ნორმები:

ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის, მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის, შემდეგში „ეთიკის კოდექსის“, მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი).

ადვოკატმა არ უნდა მიაწოდოს სასამარლოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება („ეთიკის კოდექსის“, მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი)

6.2 კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის პროფესიის თავისუფალი, ავტონომიური ბუნება და პროფესიული დამოუკიდებლობა, კლიენტის ინტერესების დაცვისას, ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას, კლიენტთან შეთანხმებით, დაეყრდნოს საკუთარ გამოცდილებას, პროფესიულ ცოდნას და იმოქმედოს შემუშავებული სტრატეგიით. ადვოკატის დამოუკიდებლობა, კლიენტის ინტერესების უპირატესობა და კლიენტ-ადვოკატს შორის შეთანხმება, უზრუნველყოფს საქმის წარმოების იმგვარ სტრატეგიას, რომელიც ერთის მხრივ თანხვედრაში მოდის როგორც კლიენტის ინტერესებთან, ასევე ადვოკატის ხედვებთან.

6.3 განხილვის კოლეგია ყურადღებას მიაქცევს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას (საქმე №ას-1338-1376-2014), რომ „ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრიციპს

ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათავისებას, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება."

6.4 განხილვის კოლეგიამ გამოიყენა მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა, რათა საჩივრის ავტორს, გ. მ.-ს ესარგებლა დისციპლინური სამართალწარმოების დროს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილი სამართლიანი სასამართლოს უფლებით და მის მიერ წარდგენილი საჩივრით ჩამოყალიბებული პოზიცია, განხილვის ეტაპზე, გაემყარებინა და კოლეგიის წევრებისთვის აღეწერა ზეპირი ახსნა-განმარტების გზით. მიუხედავად იმისა, რომ განხილვის კოლეგია უფლებამოსილია, საჩივრის ავტორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, არსებითად განიხილოს საქმე და დაეყრდნოს საქმეში არსებულ მასალებს, განხილვის სხდომა, საჩივრის ავტორის გამოუცხადებლობის საფუძვლითა და მასთან ვერბალური კომუნიკაციის დამყარების მიზნით, ორჯერ ჩაინიშნა. საჩივრის ავტორს ორივეჯერ, სატელეფონო კომუნიკაციის გზით ეცნობა სხდომების თარიღები (14.12.22 და 21.12.22). თუმცა საჩივრის ავტორი არცერთ სხდომაზე გამოცხადებულა და ორივეჯერ იშუამდგომლა სხდომის გადადებასთან დაკავშირებით. საბოლოოდ, განხილვის კოლეგიამ, საქმის ეფექტურად განხილვის მიზნით, საქმეზე, წარმოდგენილი მასალების გათვალისწინებით იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება.

6.5 განხილვის კოლეგიამ შეისწავლა მხარეთა პოზიციები, გამოიკვლია წარმოდგენილი მასალები და დაადგინა, რომ ადვოკატი ნ. კ., 2017 წლის 7 თებერვალის, მცხეთის რაიონული სასამართლოს ს. საქმეთა კოლეგიის სასამართლოს სხდომაზე (სამოქალაქო საქმე №---), ჩაერთო და საქმის მასალების გაცნობის მიზნით იშუამდგომლა სხდომის გადადების თაობაზე. სასამართლომ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა და გადადო სხდომა (იხილეთ გადაწყვეტილების პუნქტი 4.2). საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ საჩივრის ავტორი ძირითად პრეტენზიას უშუალოდ ნ. კ.-ის აღნიშნულ ქმედებასთან დაკავშირებით არ გამოთქვამს. საჩივარი მიემართება, თ. ხ.-ის მიერ საქმის წარმოებისას განხორციელებულ მოქმედებებს, რომლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილსაც, ნ. კ.-ის სასამართლო სხდომაზე ჩართვა და მის მიერ, სხდომის გადადებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის დაყენება წარმოადგენს.

6.6 საჩივრის ავტორმა იურიდიული მომსახურეობის შესახებ ხელშეკრულება გააფორმა თ. ხ.-სთან, რომელიც არ არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი, შესაბამისად განხილვის კოლეგია ვერ შეაფასებს თ. ხ.-ის ქმედებათა შესაბამისობას ადვოკატის პროფესიულ ეთიკასთან. რაც შეეხება ადვოკატ ნ. კ.-ის ქმედებას, განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის სტატუსის გამოყენებით, სასამართლო პროცესში ჩართვა, მიუხედავად სუბიექტსა და ადვოკატს შორის საადვოკატო ხელშეკრულების შეუთანხმებლობისა, ნიშნავს ადვოკატის მიერ პირისთვის თავისი პროფესიით მომსახურეობის გაწევას, რა დროსაც მასზე ვრცელდება ეთიკური სტანდარტები და ადვოკატმა უნდა იმოქმედოს პროფესიული ეთიკის ფარგლებში. შესაბამისად კოლეგია ყურადღებას გაამახვილებს, ადვოკატ ნ. კ.-ის კონკრეტული ქმედების ეთიკური ნორმების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

6.7 ადვოკატი ნ. კ., თ. ხ.-თან და გ. მ.-სთან შეთანხმებით, საქმეში ჩაერთო ადვოკატის სტატუსით. მან იშუამდგომლა სასამართლო სხდომაზე საქმის გადადებასთან დაკავშირებით, რათა, როგორც საქმეში ჩართულ ახალ ადვოკატს, მისცემოდა საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა, თუმცა თავად ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული მოქმედება არ იყო მისი რეალური მიზანი და ადვოკატის სტატუსით ჩართვა მხოლოდ საქმის განხილვის გადადებას უკავშირდებოდა. ადვოკატის ქმედება შეთანხმებული იყო, როგორც სასამართლოში საქმის მწარმოებელ იურისტთან ასევე მის კლიენტთან. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას, ხოლო სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერად, სხვისთვის ზიანის მიყენების გარეშე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი). შესაბამისად, აღნიშნულ ნაწილში არ იკვეთება ადვოკატის მიერ კლიენტთან შეუთანხმებელი, მისი ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედება, რაც გამორიცხავს მის მიერ, კლიენტთან მიმართებით, არაკვალიფიციურ და არაკეთილსინდისიერ მოქმედებას.

6.8 კოლეგიამ შეაფასა ადვოკატის ქმედების კეთილსინდისიერების საკითხი. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ნ. კ.-ის მიერ, კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით განხორციელებული ქმედება შეესაბამება კლიენტთან შეთანხმებულ სტრატეგიას. ადვოკატმა, ნ. კ.-მა იხელმძღვანელა რა ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლით, მან პირველყოვლისა კლიენტის კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, განახორციელა ქმედება, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონს და გამომდინარეობს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული შესაძლებლობიდან. ადვოკატმა, როგორც კლიენტის კანონიერი ინტერესების უპირატესმა გარანტმა, თავისი ცოდნითა და გამოცდილებით, გამოიყენა კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული შესაძლებლობა, რაც არ შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არაკეთილსინდისიერი საქციელი. აღნიშნულ შემთხვევაში, ნ. კ.-ს, როგორც ადვოკატს, ეკისრებოდა ვალდებულება კანონიერი გზით დაეცვა თავისი კლიენტის კანონიერი ინტერესები, რაც განახორციელა. მისთვის, როგორც ადვოკატისთვის, კლიენტის ინტერესი უპირატესი მნიშვნელობის იყო და ადვოკატმა, თავისი პროფესიის იდეიდან გამომდინარე თავისი კლიენტის ინტერესებისადმი „მაქსიმალურად მიკერძოვებით“ (ეთიკის კომისიის რეკომენდაცია 019/22) იხელმძღვანელა კანონიერი საშალებებით და იმ ეტაპისთვის უზრუნველყო კლიენტის საუკეთესო ინტერესი.

6.9 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 5.7, 16, 17, 33, 35, 40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N096/20 ადვოკატ ნ. კ.-ს /სიითი №/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება გაეგზავნოთ მხარეებს.
3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ზესარიონ ბოხაშვილი/